საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1434 2023 წლის 7 აგვისტო ქ. თბილისი

ქალაქების – ოზურგეთისა და ახალციხის განვითარებისათვის ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების თაობაზე

1. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, სსიპ – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს დაევალოს ქალაქ ოზურგეთისა (ამ განკარგულების დანართ №1-ით გათვალისწინებული დასაგეგმარებელი ტერიტორიების საორიენტაციო საზღვრებში) და ქალაქ ახალციხის (ამ განკარგულების დანართ №2-ით გათვალისწინებული დასაგეგმარებელი ტერიტორიების საორიენტაციო საზღვრებში) გენერალური გეგმების შემუშავების უზრუნველყოფა.

2. სახელმწიფო უწყებებს დაევალოთ, ხოლო ქალაქ ოზურგეთისა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტებს ეთხოვოთ, სსიპ – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოსთან კოორდინაციით, ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების ხელშეწყობა.

3. ოზურგეთისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებს ეთხოვოთ ამ განკარგულების პირველი პუნქტის საფუძველზე შემუშავებული გენერალური გეგმების კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დამტკიცების უზრუნველყოფა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**


დანართი N1
ქ.ოზურგეთის გენერალური გეგმის გეგმარებითი არეალის სავარაუდო საზღვარი (2218ჰა)

დანართი 2
ქ.ახალციხის გენერალური გეგმის გეგმარებითი არეალის სავარაუდო საზღვარი (1875ჰა)